ანალიტიკური წერა

II ვარიანტი

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

წარმატებულმა რადიოარხმა „აფრამ“, სადაც არაერთი ნიჭიერი ჟურნალისტი მუშაობს, ახალი გადაცემა – „ცნობილი ადამიანების პირადი ისტორიები“ – მოამზადა. გადაცემამ, რომელიც ღამის საათებში გადის, საგრძნობლად გაზარდა რადიოარხის რეიტინგი.

რადიოარხმა „თოლიამ“, რომელიც მსმენელებში განსაკუთრებული პოპულარობით არ სარგებლობს, საკუთარი რეიტინგის გაზრდის მიზნით გადაწყვიტა, მიებაძა „აფრისათვის“. მან მოამზადა მსგავსი გადაცემა – „წარმატებული ადამიანები“, რომელიც ღამის საათებში, იმავე დროს გადის, რა დროსაც „ცნობილი ადამიანების პირადი ისტორიები“. ამ გადაცემის ეთერში გაშვების გამო რადიოარხი იძულებული გახდა, გაეუქმებინა ძველი გადაცემა „მღერიან ცნობილი მსახიობები“.

აღმოჩნდა, რომ რადიოარხ „თოლიას“ მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად არხის პოპულარობამ კი არ იმატა, არამედ პირიქით, იკლო.

იმსჯელეთ, რა შეიძლება ყოფილიყო რადიოარხ „თოლიას“ მიერ გატარებული ღონისძიებების წარუმატებლობის მიზეზები.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

ბოლო დროს მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახა, რომ ვირტუალურმა კომუნიკაციამ – ვირტუალური სივრცის გამოყენებამ სხვადასხვა მიზნისათვის – მთლიანად და წარმატებით შეიძლება ჩაანაცვლოს რეალური, ადამიანური ურთიერთობები.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; თქვენი პოზიციის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.